h43.

ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ

რევოლუციის საქ. ცეკას და ტფ. საბჭოს
კომიტეტის სუპერთვიური ორგანო
ნოემბერი 1921 ტფილისი

მოწოდება

საქართველოს მშრომელთ — მუშებს და გლეხებს!

მიმდინარე წელმა არაჩვეულებრივად გაამდიდრა საერთაშორისო მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლის ისტორია მთელ რიგ მეტად სერიოზულ ეკონომიურ და პოლიტიკური შეტაკებებით კაპიტალსა და შრომას შორის.

ყველა კაპიტალისტურ, კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ქვეყნებში დღითიდღე მწვავე ხასიათს ღებულობს მუშების გაფიცვა, შეტაკებები და რევოლიუციონური განმანთავისუფლებელი მოძრაობა კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, რაც აშკარად მეტყველებს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების შესახებ.

რევოლიუციონური მოძრაობანი და ახალ ბრძოლების დასაწყისი იწვევს კაპიტალისტური რეაქციის, თეთრი ტერორისა და ფაშიზმის გაძლიერებას. მიმდინარე წლის მხოლოდ ათი თვის განმავლობაში თეთრი ტერორის სტატისტიკა მეტად შემაძრწუნებელ სურათს იძლევა.

ფაშიზმის ახალი ტალღები ელვის სისწრაფით ედება ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს. მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები სასტიკ დევნას განიცდიან ყველა ქვეყნებში. ხშირად ისინი სრულიად ჭერქვეშ არიან მოქცეულნი. მშრომელ მოსახლეობას წართმეული აქვს ყოველგვარი უფლებები, კლასიურ სასამართლოებს კი ყოველდღე გამოაქვს საშინელი და შემაძრწუნებელი განაჩენები. საკატორღო ციხეები და ცალკე საპატიმროები გაჭედილია აუარებელი პატიმრებით.მრავალ ათასი საუკეთესო რევოლიუციონერი მუშები განიცდიან საშინელ დევნას და წამებას, მათი ოჯახის წევრები კი — მიტოვებულნი არიან უპატრონოდ და ულუკმაპუროდ.

საერთაშორისო გურჟუაზია და მისი ერთგული ლაქია, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია, ურთი-ერთის დახმარებით ლამობენ გაძლიერებულ რევოლიუციონურ მოძრაობის შეჩერებას. ისინი ასეთ საზიზღარ საშუალებებით ფიქრობენ მუშათა კლასის მიერ გაწეული წინაალმდეგობის შესუსტებას, ისინი განუკითხავი კლასობრივი იუსტიციის საშუალებით ებრძვიან ყოველგვარ განმანთავისუფლებელ მოძრაობას დასავლეთში, აღმოსავლეთსა და კოლონიებში.

მაშინ, როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატის პირველი მუშურ-გლეხური სამშობლოს — ს. ს. რ. კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი, რევოლიუციონურ გლეხობასთან ერთად ჩაბმული ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობის ფერხულში, მაშინ, როდესაც დასავლეთის კაპიტალისტურ და აღმოსავლეთის კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ქვეყნებში სისხლიანი შეტაკებები სწარმოებს მუშათა კლასსა და კაპიტალისტებს შორის — საერთაშორისო გურჟუაზია მეორე ინტერნაციონალის „გმირების" დახმარებით ლამობს გააჩაღოს ყველგან თეთრი ტერორი. კლასობრივი იუსტიცია და ფაშიზმი.

დღევანდელი გურჟუაზიული მსოფლიო სცდილობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოამზადოს ახალი ომის საფრხე. ის ამისათვის არ ერიდება არავითარ საზიზღარ საშუალებებს.

ამ მძიმე წუთებში, როდესაც მოსალოდნელია საერთაშორისო სამოქალაქო ომების ქარცეცხლის დანთება, ჩვენ არ შეგვიძლია ძმური სიყვარულითა და თანაგრძნობით არ მოვიგონოთ საერთაშორისო მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლი მილიონები, რომლებიც განიცდიან სასტიკ დევნასა და წამებას რეაქციის შემოტევით. ჩვენ არ შეგვიძლია უყურადღებოთ და დახმარების გარეშე დავსტოვოთ აგრეთვე მათი ოჯახის წევრები, რომლებსაც წართმეული აქვთ არსებობის ყოველგვარი სახსარი.

რემედასის მომავალი კვირეული, რომელიც მთელს საქართველოში ტარდება 21 — 27 დეკემბერს, მიზნად ისახავს, როგორც პოლიტ-პატიმართა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე რემედასის ამოცანების ირგვლივ საბჭოთა საზოგადოებრივობის მჭიდროთ დარაზმვას. ამ უკანასკნელსა და დასავლეთ ევროპის რევოლიუციონურ პროლეტარიატს შორის მჭიდრო კავშირის დამკვიდრებას, რათა შეერთებული ძალღონით დაძლეული იქნეს საერთო კლასიური მტერი — საერთაშორისო გურჟუაზია, რომელიც ანადგურებს ყველა ქვეყნის მუშათა კლასს და რევოლიუციონურ გლეხკაცობას.

ყოველი რემედასელი, ყოველი შეგნებული მუშა, გლეხი, მშრომელი და გლეხის ქალი, საბჭოთა მოქალაქე და ახალგაზრდა ვალდებულია შეიტანოს თავისი მცირედი წვლილი რემედასის სალაროში, რათა ჩვენ შევსძლოთ პირნათად ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის მებრძოლთა წინაშე.

მაშ დავეხმაროთ კაპიტალის პატიმრებს!

გაუმარჯოს საერთაშორისო ოქტომბრისათვის მებრძოლ მუშათა კლასს და მის ავანგარდს — კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს რემედასს!

რემედასის საქ. ცენტრალური კომიტეტი.

363(∞)(05)
Ь43.

წელიწადი მეექვსე

№ 11
ნოემბერი
1929

რემედა

რემედასის საქართველოს ცენტრალური და ტფილისის საოლქო კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარიელთ ყველა ქვეყნისა, შეერთდით

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.

∞ ტელ. 17 42. ∞

კაპიტალის პატიმართა დახმარების კვირეული

მიმდინარე წლის დეკემბრის 21 — 27 მთელს საქართველოში ტარდება რემედასის ტრადიციული კვირეული, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალისტურ ქვეყნების საპყრობილეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმართა და მათი ოჯახებისადმი მატერიალურ დახმარების აღმოჩენას.

ვინც ახლოსაა ჩვენს ორგანიზაციასთან, მუშაობს მის რიგებში და თვალყურს ადევნებს რემედასის მოღვაწეობას დღიდან მისი ჩამოყალიბებისა, მისთვის ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კვირეულის ჩატარებას.

დღეს, როდესაც ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარებს შავი რეაქცია, თეთრი ტეროორი, კლასობრივი იუსტიცია და ფაშიზმი, რომლებიც გააფთრებით ებრძვიან რევოლიუციისათვის მებრძოლთ, საჭიროა რკინის ნებისყოფით შეკავშირდეს საერთაშორისო მუშათა კლასი. საჭიროა პროლეტარიატის, რევოლიუციონური გლეხკაცობისა და ყველა პატიოსანი საბჭოთა მოქალაქის ერთ მთლიან ფრონტზე დარაზმვა, რათა ჩვენ შევსძლოთ საკადრისი პასუხი გავსცეთ საერთაშორისო ბანდიტიზმის სულის ჩამდგმელებს.

რემედასი არის ერთად-ერთი ორგანიზაცია, რომელიც პირნათლად ემსახურება, როგორც კაპიტალის პატიმართა მატერიალურად დახმარებას, ისე მშრომელ მასების ერთსულოვნების გამომჟღავნებას ამ უკანასკნელებისადმი.

ამ ექვსიოდე წლის განმავლობაში რემედასმა მრავალ ათეულ ათას რევოლიუციონერსა და მათი ოჯახის წევრებს შეუნარჩუნა სიცოცხლე. დღეს კი ამ დახმარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საერთაშორისო რეაქცია და ყველა მასთან მიტმასნებული ბანდები გაშლილი ფრონტით გამოდიან რევოლიუციონურ-გამანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ.

როგორც ვიცით, დღეს არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის არ წარმოადგენს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამავე დროს არ არის არც-ერთი ქვეყანა, სადაც არ მოღვაწეობდეს რემედასის სექცია, ან რომელიმე მისი მოძმე ორგანიზაცია. მართალია ყველგან ის ვერ სარგებლობს თავისუფლებით, ხშირ შემთხვევაში ის სრულიად ჭერქვეშაა მოქცეული, მაგრამ მუშაობის ნაყოფიერება მაინც დიდია.

საბჭოთა კავშირი კი, სადაც პირველად ჩაისახა და განმტკიცდა რემედასი, ამ მხრივ წარმოადგენს სრულიად თავისუფალ ასპარეზს; აქ მუშათა კლასი, მშრომელ გლეხობასთან მჭიდრო კავშირით ჰქმნის ახალ ისტორიას, ახალ ქვეყანას, აყალიბებს მას ახალ ყაიდაზე და მის ყოველგვარ წამოწყებას აქვს მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი.

რემედასის მუშაობა მეტად ნაყოფიერად მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ნაკლულევანებებს, რომელიც ბუნებრივია, ყოველი დიდი საქმის გაკეთების დროს. რემედასის მოღვაწეობა საბჭოთა ქვეყნებში უნდა გახდეს სამაგალითო ყველა დანარჩენი ქვეყნების სექციებისათვის.

ჩვეო მოგვეპოვება საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ უკეთ მოვაწესრიგოთ, როგორც ორგანიზაციულ-ფინანსიური მხარე, ისე მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმე. ამას მოითხოვს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის მებრძოლ მილიონებისა საარსებო ინტერესები.

მიმდინარე წელს კვირეულის განმავლობაში უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მშრომელთა მეტი რიცხვი ჩავაბათ ჩვენს ორგანიზაციაში, ერთი-ორად გავაძლიეროთ ხელისმომწერთა რაოდენობა ჩვენს პერიოდულ გამოცემებზე, რათა ამით ხელი შეუწყოთ ინტერნაციონალურ ერთსულოვნების გრძნობის გაღვივებას მშრომელ მასაში.

მართალია ჩვენ ვაგროვებთ დახმარებას პატიმარ რევოლიუციონერებისათვის, მაგრამ ამ შეგროვებას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს მათხოვრობის ხასიათი ჩვენ არ ვაძალებთ ვინმეს შემოიტანოს თავისი წვლილი რემედასის სალაროში, თუ მისთვის არაა ნათელი ჩვენი მიზანი და ამოცანები. ყოველი შეგნებული მშრომელი რომლისათვისაც ძვირფასია საერთაშორისო მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე, თავისი სურვილით მოვალეა, ჩვენთან მოიტანოს თავისი მცირედი წვლილი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ კამპანიის ჩატარებაში.

ჩვენ არ უნდა მივსდიოთ მატერიალურ ლონისძიებათა შეგროვებას, თუ ამას არ ექნება ნებაყოფლობითი ხასიათი. უკეთესია შევაგროვოთ ცოტა, მაგრამ ნებაყოფლობით. მტრულად განწყობილთა მიერ გაღებულ თუმნებს ჩვენ გვირჩევნია მშრომელთა მიერ შემოწირული კაპეიკები.

ჩვენ მოწყალებას კი არ ვთხოულობთ, არამედ რევოლიუციონური მოვალეობის შეგნებით, ძმური დახმარების ხელს ვუწვდით მუშათა კლასის იმ საუკუთესო წარმომადგენლებს, რომლებიც წლობით იტანჯებიან კაპიტალის ციხე-სიმაგრეებში.

კვირეულის განმავლობაში ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი, რათა პირნათლად შევასრულოთ დაკისრებული ამოცანები.

კვირეულის ჩატარების დროს ამოძრავებული უნდა იქნეს რემედასის მასა, რათა ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ საერთაშორისო პროლეტარიატს, რომ ისინი მარტონი არ არიან კაპიტალთან ხელჩართულ ბრძოლაში, არამედ ჩვენც მათთან ვართ და ჩვენი ახალი ქვეყნის აღორძინების დროს არ გვავიწყდება მათზე ზრუნვა, მათი დახსნა საზიზღარ ფაშიზმის კლანჭებისაგან.

კვირეულის განმავლობაში ჩვენი აქტიური დახმარებით დაუმტკიცოთ მათ, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის ერთად-ერთ სამშობლოს — სახელოვანი მუშათა კლასი და რევოლიუციონური გლეხკაცობა მუდამ ერთგულ დარაჯად იდგომება მსოფლიო ოქტომბრის სადარაჯოზე.

ახალი ბრძოლისაკენ

(გერმანიის „წითელი დახმარების“ მესამე კონფერენცია).

მიმდინარე წლის ოქტომბრის 12 — 15 ბერლინში ჩატარდა სრულიად გერმანიის „წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ მესამე კონფერენცია. როგორც ვიცით რემედასის საზღვარგარეთელ მოძმე ორგანიზაციებიდან „წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ა“ ყველაზე უძლიერესი ორგანიზაციაა. კონფერენცია მოწვეულ იქნა ამ ორგანიზაციის ხუთი წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით.

ბერლინის ტანვარჯიშთა უდიდესი დარბაზი სავსე იყო მოზღვავებული ხალხით, როცა „წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ ორგანიზაციის 5 წლის ბრძოლისა და მიღწევების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ორგანიზაციის ცეკას პ/მგებელი მდივანი ვილჰელმ პიკი. ეს უკანასკნელი არის ერთ-ერთი თვალსაჩინო მებრძოლ, როზა ლიუქსენბურგისა და კარლ ლიბკნეხტის თანამებრძოლი. პიკმა აღნიშნა „წითელი დახმარების“ მასიური ხასიათი. მისივე სიტყვით გერმანიის რემედასის რიგებში დღეს ირიცხება 186500 კაცი. გარდა ამისა მათ ემხრობიან კოლექტიურ წევრთა უფლებებით 460 სხვა და სხვა მუშათა ორგანიზაციები, რომლის რიგებში ჩაბმული არიან 37.500 მუშები.

ს. ს. რ. კ. და ინგლისი. მიმდინარე წლის ნოემბრის 5 თემთა პალატაში 324 ხმის უმრავლესობით და 199 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შესახებ. ამრიგად მუშათა პარტიამ გვიან, მაგრამ მაინც სისრულეში მოიყვანა არჩევნების წინა ხანებში მოცემული შეპირება. ყველა საპარლამენტო გამოსვლებში მუშათა პარტიის წარმომადგენლები მაკდონალდის მეთაურობით ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ ურთიერთობის აღდგენის უმთავრეს საბაბს წარმოადგენს სავაჭრო ინტერესები, სურვილი საბჭოთა ბაზრის ხელში ჩაგდებისა. საბჭოთა კავშირში ინგლისის ელჩად დანიშნულია ინგლისის ყოფილი ელჩი მექსიკაში სერ **ესმონტ ოვიი.**

სურათზე: ამხ. **დოვგალევსკი** (მარცხნივ) **და გენდერსონი.**

გერმანიაში „წითელი დახმარების“ ორგანიზაციის ჩასახვისა და მისი განვთარების პროცესი საგრძნობლად განსხვავდება რემედასის საბჭოთა კავშირის ორგანიზაციების განვითარების პირობებისაგან. „წითელი დახმარების“ ორგანიზაციას თავის განვითარება-განმტკიცების გზაზე უამრავი დაბრკოლებები ხვდებოდა, რომლისგან ყოველთვის თავისუფალი იყო რემედასი საბჭოთა ქვეყნებში. ყოველ ფეხის გადადგმაზე ხელს უშლიან და სდევნიან გერმანიაში ამ ორგანიზაციას ფაშისტური ნაძირალები, რასაც ხელს უწყობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებიც.

განვლილი ხუთი წლის განმავლობაში „წითელი დახმარების“ ორგანიზაცია არა ერთხელ ყოფილა შევწროებული და გაჩხრეკილი. ბევრი მისი უერთგულესი თანამშრომელი იყო დაპატიმრებული და გასამართლებულ. ბავარიაში დღემდის ნახევრად არალეგალურ პირობებში უხდება „წ ი თ ე ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ ორგანიზაციას მუშაობა. ყველაფერი ეს ხდება იმ კონტრევლიუციონურ ბანდების წყალობით, რომლებსაც აქ მრავლად მოუყრიათ თავი.

მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მხრივაც უდიდესი მუშაობა ჩაატარა „წითელმა დახმარებამ“ თეთრი ტერორის, კლასობრივი იუსტიციისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების აღსაკვეთად.

ამხ. პიკის მიერ მოყვანილი მრავალი ციფრებით ნათლად დასტურდება ის უდიდესი მატერიალური დახმარება, რომელიც "წითელი დახმაარების“ ორგანიზაციამ გაუწია პოლიტ-პატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს. ხუთი წლის განმაკლობაში ორგანიზაციის მიერ აკრებილი და დახარჯულია პოლიტ-პატიმრებზე 3½ მილიონი მარკა. ორგანიზაციის ორ-საბავშო სახლებში გატარებულია დაღუპულ გერმანელ, ბულგარელ, რუმინელ და ავსტრიელ რევოლიუციონერთა 1.000 ბავში. სხვადასხვა ქვეყნების ასეულ

პოლიტ-ემიგრანტებმა მიიღეს სათანადო მატერიალური და იურდიული დახმარება. გარდა ამისა ორგანზაცა სისტემატიურ დახმარებას უწევს ბულგარეთის, რუმინეთისა და პოლონეთის, საშეფო საპყროიბილეებში მოქცეულ რევოლიუციონერებს.

გერმანიის „წითელი დახმარება" ყოველთვის წამოწყები იყო რემედასის მიერ საერთაშორისო მასშტაბით ჩატარებულ კამპანიებისა. საერთაშორისო ფაშიზმის ყოველ ახალ გამოსვლას გერმანელი რემედასელები უპასუხებდენ უდიდესი საპროტესტო დემონსტრაციების მოწყობით.

დღეს კი, როცა გერმანია და მთელი კაპიტალისტურ მსოფლიო შევიდა კლასობრივი ბრძოლების გამწვავების პერიოდში, როცა თეთრი ტეროორი დღეი-დღე ძლიერდება „წითელი დახმარების" ორგანზაციის წინაშე ისმება საკითხი ორგანიზაციაში ახალ წევრთა ჩაბმის შესახებ, რათა უფრო მტკიცედ და შეურყეველად იქნეს წარმოებული ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც იკრებს ძალებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

მიუხედავად იმისა, რომ შეუპოვარი ბრძოლით ჩვენ წელს მოვიპოვეთ ერთი ამნისტია, საპატიმროებში მაინც ბევრი პარტიული და კომკავშირელები დარჩენ დღემდის. გერმანიის მთავრობა, რომელსაც მეთაურობს რეიხსკანცლერი მიულერი, ამზადებს მუშათა კლასის წინააღმდეგ ახალ კანონებს: ასეთია მაგალითად, სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, კანონი კავშირთა თავისუფლების განსაზღვრის შესახებ, კანონი პოლიტ-ემიგრანტების გაცემის შესახებ და სხვ. საჭიროა შეუპოვარი ბრძოლისა და წინააღმდეგობის წარმოება იმ მოვლენის აღსაკვეთად, რომელსაც გერმანიის რესპუბლიკა მიჰყავს კაციჭამია ფაშიზმამდე.

კონფერენციამ გაითვალისწინა რა, ყველაფერი ეს თავის მომავალ სამუშაო გეგმად დაისახა ახალ წევრთა მასიურად ჩაბმა „წითელ დახმარების" ორგანიზაციაში, ვინაიდან მხოლოდ მასიურად ჩამოყალიბებას შეუძლია გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს ბურჟუაზიას და მის დამქაშს სოციალ-დემოკრატიას. გარდა ამისა კონფერენციამ

გერმანიის მთავრობამ უემუშევრებისათვის დაწესებული პასობიის შეკვეცის დღეს პროლეტარული მასების მღელვარების ასაცილებლად რეიხსტაგის გარშემო დააყენა კარგად შეიარაღებული ცხენოსანი პოლიცია. სურათზე: პოლიციელები რეიხსტაგის შენობის წინ.

ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა თავის საერთაშორისო მუშაობის აუცილებლობას და მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ავსტრიის ტეროორის, ფაშისტური ტრიბუნალის აღვირახსნილობისა და მაკდონალდის მთავრობის ტეროორის წინააღმდეგ ინდოეთსა და პალესტინაში.

ე ს ტ ო ნ ე თ ი ს ს ა პ ყ რ ო ბ ი ლ ი დ ა ნ

რეველის ციხიდან ამ დღეებში გამოვიდა 26 წლის მუშა ქალი, რომელიც დაპატიმრებული იყო 1923 წ. აი რას გვწერს იგი: პოლიტპატიმრები ესტონეთში სცხოვრობენ აუწერელ პირობებში. დიდი ხანი არ არის რაც რეველში ააშენეს ახალი საპყრობილე, სადაც დაგვპირდენ უკეთესი ბინის მოცემას. მაგრამ როცა გადაგვიყვანეს იქ აღმოჩნდა, რომ 4 ადგილიან საკანში ათავსებდენ 8 კაცს. ვინც წინააღმდეგობას გამოაცხადებს ართმევენ ყოველგვარ უფლებებს, ე. ი. უკრძალავენ გაზეთების კითხვას, წერილების მიღებას და შეხვედრას სანახავად მოსულ პირთან. ამავე დროს ათავსებენ ცალკე საკანში, რომლის მოცულობა 9 კვადრატიულ ადლს უდრის. ზოგიერთ პოლიტპატიმრებს ათავსებენ სიფილისით ავადმყოფ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან. საერთოდ წინააღმდეგობა და პროტესტის გაწევა აკრძალულია, მაგრამ პატიმრები ამას ყურადღებას არ აქცევენ. ამისათვის ხშირად ღებულობენ სხვადასხვა სასჯელს. მაგალითად იყო შემთხვევა, როდესაც მიუსჯიათ 7 თვე ზედიზედ უფლებების ჩამორთმევით და 14 დღე საკანში ჯდომა, რომლის მოცულობა უდრის 2 ნაბიჯს სიგანით და 3 ნაბიჯს სიგრძით, იქ სრულებით არ ატანს სინათლის შუქი და სინესტისაგან ბევრი წყალი იკრიბება.

სატუსაღოში საჭმელი შესდგება ადუღებული წლის, შაქრის ნატეხის, პურის, სუფის, 4 ცალი კართოფილის და დამარილებული თევზისაგან. დიდი ხნის პატიმრები ხშირად ავადმყოფდებიან ასეთი კვებისაგან.

აპრილის თვეში პარლამენტისაგან მოთხოვნილი იყო პატიმრებისათვის საჭმელის გაუმჯობესება, მინისტრმა ამაზე უპასუხა მოხსენებით, სადაც მიუთითებდა, რომ არსებული კვების მიზეზით არც ერთი პატიმარი არ გამხდარა ავათ და არც ერთ მათგანს არ დაუკლია წონაში. პატიმრებმა გაუგზავნეს მინისტრს პროტესტი, რომელშიაც ფაქტებით უმტკიცებდენ მისი სიტყვების სიცრუეს.

მინისტრმა ეს მიიღო შეურაცყოფად და ამაზე პოლიტპატიმრებს მთელი თვის სასჯელი გადაუწყვიტეს.

1-ლ მაისს ესტონეთის ყველა პოლიტპატიმრები მოითხოვდენ საყოველთაო ამნისტიას, მართავდენ საკნებში მი-

ტინგებს, მღეროდენ ინტერნაციონალს, რაზედაც ხელმეორედ იქნენ დასჯილნი.

საბჭოთა კავშირში გამოცემული წიგნები, თვით ბელეტრისტიკაც კი აკრძალულია საპყრობილეში. არ უშვებენ აგრეთვე მუშურ გაზეთს, რომელიც გამოდის რეველში.

თვით ბურჟუაზიულ გაზეთს უშვებენ ორი კვირის დაგვიანებით.

ოდნავი სიმღერის და ხმა მაღლა ლაპარაკისთვის ცალკე ამწყვდევენ, დაშვებულია თვეში მხოლოთ ერთი წერილის გადაცემა და ერჯერ შეხვედრა მშობლებთან.

ესტონეთის საპატიმროში ზის 25 პოლიტ-პატიმარი ქალი. სამი იმათგანი დატუსაღებულია 1922 წ. 18 — 1923 წ. დანარჩენები კი შემდეგ წლებში.

ბრალდებულ გასტონიის მუშების ერთი ჯგუფი

სანიტარული მდგომარეობა აუტანელია, წამლობა არა გვქონია, დღეში მხოლოდ 20 წუთით გამოვყავდით სასეირნოთ, ვენტილიაცია სრულიად არ იყო.

საავადმყოფოში პატიმარი გადაყავთ სიკვდილის წინ ერთი თვით ადრე. საავადმყოფოში წარმოუდგნელი უსუფთაობაა. თეთრეულს არ იძლევიან. აქ ათავსებენ დაჭლექებულ პოლიტპატიმრებს სიფილისით ავადმყოფთ და სისხლის სამართლის დამნაშავეებს ერთად ათავსებენ. ყველანი ერთ პალატაში არიან მოთავსებულნი.

წელს, თებერვალში გარდაიცვალა კომუნისტი ქალი. კლემენტი, რომელიც დააპატიმრეს 1922 წ. ის 7 წლ. განმავლობაში იჯდა სხვადასხვა ციხეებში — აქედან თითქოს ნახევრზე მეტი ხანი გაატარა უფლება აყრით და ერთი წელი კი საკანში ჯდომით. ის ჭლექმა შეიპყრო. იანვარში გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც თებერვალში გარდაიცვალა.

სიკვდილის წინ უფროსებმა წინადადება მისცეს დაეწერა განცხადება და ეთხოვა პატიება, რაც მან გადაჭრით უარყო.

ასეთი პირობების მიუხედავათ პოლიტპატიმრები სულით არ ეცემიან, ბრძოლას არ სთმობენ, ისინი დარჩენ ისეთივე კომუნისტებათ, როგორიც იყვნენ წინეთ დაპატიმრებამდის. პოლიტპატიმრებს არალეგალურათ ეძლევათ წიგნები და გაზეთები, ეს მათ აძლევს საშვალებას ისწავლონ და თვალყური ადევნონ პროლეტარიატის რბძოლას.

მაისში პოლიტპატიმარმა ქალებმა გამოუშვეს არალეგალური გაზეთი, ასეთ გაზეთს პოლიტპატიმარი მამაკაცები უკვე მესამე წელია რაც უშვებენ.

ასე ცხოვრობენ და იბრძვიან ესტონელი კომუნისტი ქალები ციხეში, იმ ღრმა რწმენით, რომ ისინი კვლავ ჩადგებიან მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში.

მხურვალე სალამი ესტონელ პოლიტპატიმარ ქალებისაგან საბჭოთა კავშირის მშრომელ და მუშა ქალებს.

რემედასის ორგანიზაციების დათვალიერების შედეგები კახეთის ოლქში

ამ უკანასკნელ ხანებში რემედასის საქ. ცეკას მიერ დათვალიერებული იქნა რემედასის კახეთის ორგანიზაცია რომლის დროს გამოირკვა შემდეგი:

კახეთის საოლქო ორგანიზაციას აქვს 5 რაიონი, რომელიც ეხლა ყალიბდება დაიაიონებასთან დაკავშირებით. სათემო კომიტეტების რაოდენობა გამოურკვეველია მაზრების გაერთიანების შემდეგ. უკანასკნელი ცნობების თანახმად კახეთის ოლქში დაახლოვებით 128 უჯრედია.

რემედასის კახეთის ორგანიზაციებში 1928 წლის ივლისში ირიცხებოდა 2607 წევრი, დღეს კი ირიცხება 3556. ორგანიზაცია გაიზარდა ამ 15 თვის განმავლობაში 959 წევრით. პარტიული და კომკავშირელი ორგანიზაციის შემადგენლობის მიხედვით უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელები ძალიან სუსტად არიან ჩაბმულნი რემედასის უჯრედებში. კომკავშირის ორგანიზაციაში ირიცხება 7000 წევრი და კანდიდატი, რემედასში კი შედის 739.

პარტიის ხელმძღვანელობა რემედასის ორგანიზაციებზე საერთოდ მოისუსტებს. ჯერ პარტიის საოლქო კომიტეტს არ მოუსმენია რემედასის საოლქო კომიტეტის მოხსენება და ამ უკანასკნელს არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს, რასაც შედეგათ მოჰყვა ძირითად ორგანიზაციების დაშორება რემედასის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობისაგან.

ძირითადი ორგანიზაციების მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს საოლქო კამიტეტის ხელძძღვანელობა. — ეს იმით აიხსნება რომ საოლქო კომიტეტმა ვერ შესძლო დაერაზმა თავის ირგვლივ აქტივთა კადრი. რა თქმა უნდა პირობებიც არ უწყობდა ხელს, ვინაიდან გურჯაანში ძა-

ლიან ახალი ორგანიზაციაა, მაგრამ თვით რემედასის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობის უმრავლესობა სრულებით არ არის დაინტერესებული მუშაობით. ამ გარემოებას ადასტურებს მათი დასწრება სხდომებზე, რომელიც 40 — 50 არ აღემატება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

საოლქო კომიტეტს არ ყავს ფასიანი მომუშავე, წინათ მუშაობდა ინსტრუქტორი და მდივანი, მაგრამ მათი მუშაობის დროს არაფერი თვალსაჩინო არ გაკეთებულა. დღეს კი მუშაობს ტეხნიკური მდივანი, ისიც შეთავსებით, რაც ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია.

ახალი აქტივის წამოყენების და აღზრდისათვის საოლქო კომიტეტს არაფერი არ გაუკეთებია. არც არის დამუშავებული ორგანიზაციებში რემედასის საქ. ცეკას მეორე პლენუმის შედეგები, სადაც ვრცლად იყო დამუშავებული რემედასის მასიური მუშაობის საკითხი. 14 თვის განმავლობაში რემედასის საოლქო კომიტეტის სხდომა მოაწყო მხოლოდ 9-ჯერ. საოლქო კომიტეტთან და ადგილებზე არ არის ჩამოყალიბებული სექციების მუშაობა. დირექტივა პროფკავშირების შესახებ, რემედასის ორგანიზაციებში დაგზავნილია ადგილებზე, მაგრამ ძირითად ორგანიზაციებში ადგილკომები არ უწევენ სათანადო დახმარებას რემედასის ორგანიზაციებს. მთელს ოლქში ირიცხება 5600 პროფკავშირთა წევრები, რემედასის რიგებში ჩაბმულია მხოლოდ 1228 წევრი, ეს არ არის ნორმალური მოვლენა.

უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობა, რომ სადაც რემედასის უჯრედები ცოტათ თუ ბევრად მუშაობენ, იქ ქალებიც სათანადოთ არიან ჩაბმულნი მის პრაქტიკულ მუშაობაში. ეს ქალაქის ფარგლებში, მაგრამ სოფლად კი ძალიან მოისუსტებს მუშაობა. საოლქო კომიტეტს, როგორც წერილობითი, ისე ცოცხალი კავშირიც ძლიერ სუსტი აქვს ადგილებთან. ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც გლეხობა მოდის და თხოულობს სათანადო ახსნა-განმარტებას მუშაობის დარგში, მაგრამ საოლქო კომიტეტი ამას თავის დროზე ვერ აწვდის, რაც აიხსნება ყოფილი აპარატის სისუტით. საოლქო კომიტეტს არ დაუმუშავებია საკითხი კოლმეურნეობებში რემედასის მუშაობის წარმოების და აგრეთვე როგორც სარაიონო კომიტეტებმა, ისე უჯრედებმა.

საოლქო კომიტეტი ალღოს ვერ უღებდა პარტიულ და საბჭოთა მიმდინარე პოლიტიკურ კამპანიების ჩატარებაში, რემედასელების ჩაბმას (ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი, თესვის კამპანია და სხვა). ამ კამპანიებმა ჩაიარა რემედასის მონაწილეობის გარეშე. იყო შემთხვევა როცა საოლქო კომიტეტმა დაამუშავა სოც. შეჯიბრის ჩატარების პროექტი და გამოიძახა შეჯიბრში გორის საოლქო კომიტეტი, მაგრამ ამის შესახებ არაფერი არ იციან როგორც სარაიონო კომიტეტებმა, ისე უჯრედებმა.

სრულებით არ სწარმოებს საშეფო მუშაობა, არც იციან ადგილებზე, არის თუ არა მათზე მიმაგრებული საშეფო ციხე.

ბეჭვდითი სიტყვის დარგში ჩატარებულია ბეჭვდითი სიტყვის სამ დღიური, რომელსაც არავითარი შედეგები არ მოუცია. ადგილებზე ძალიან სუსტად იწერენ, ან სრულებით არ იწერენ რემედასის ლიტერატურას. ადგილებზე დაგროვილია ძველი ლიტერატურა, რომელმაც მნიშვნელობა უკვე დაკარგა რემედასის ორგანიზაციისათვის, ვინაიდან თავის დროზე ვერ იქნა გადაგზავნილი საოლქო

ჩრდილოეთ კაროლინის ქ. მარიონში, გასტონიის მუშების გასამართლების საპროტესტოდ გაფიცული მუშის ოჯახის ყველა წევრები ბინიდან ქუჩაში გამოჰყარეს.

კომიტეტის მიერ. მაგალითად წიგნაკი „რემედასი საბჭოების გადარჩევაში“ დღეს ეგზავნება უჯრედებს. ლიტერატურის უამრავი ნაწილი კი ინახება საოლქო კომიტეტში. არ არიან გამოყოფილი ბეჭვდით სიტყვის რწმუნებულები. ზოგი უჯრედი იღებს მონაწილეობას ადგილობრივ კედლის გაზეთებში, მაგრამ ამას სისტემატიური ხასიათი არა აქვს.

ფინანსიურ დარგში შემდეგი სურათია: 1929 წლის ხარჯთ-აღრიცხვა საოლქო კომიტეტს არ შეუდგენია. თანხები იხარჯება მის გარეშე. 1929 წ. იანვრიდან შემოსულია ოქტომბრის ბოლო რიცხვებამდე საოლქო კომიტეტში 3759 მან. 56 კაპ. მათ შორის საწევრო ანარიცხები შეადგენენ — 657 მან. 41 კაპ. — 21,9 პროც. დანარჩენი კი შემოსულია სპეციალური კამპანიებიდან საღამოებისა და კინოს მოწყობით. უმთავრესად თელავის და სიღნაღის რაიონებიდან.

ამ ხნის განმავლობაში გადაგზავნილია რემეადსის საქ. ცეკაში 1605 მან., საოლქო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე კი — ირიცხება 880 მან. რაც თანახმად საქ. ცეკას მეორე პლენუმის დადგენილებისა დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. საოლქო კომიტეტის ხარჯები შეადგენენ 1274 მან. და 56 კაპ. ე. ი. მთელი შემოსავლის 33 პროცენტს. სარევიზიო კომისიას 14 თვის განმავლობაში ორჯერ გაუკეთებია რევიზია. ფულის ფოსტა-ტელეგრაფის საშუალებით ცენტრში გადაგზავნის ფორმაზე გადასვლის შესახებ საკითხი ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული.

რემედასის ორგანიზაციის მუშაობა კახეთის ოლქში, განსაკუთრებით ოლქკომის, ძლიერ სუსტია. საოლქო კომიტეტს თავის აპარატის სისუტის გამო ხელიდან გაუსხლტა ძირითადი ორგანიზაციები. საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა ვერ აკმაყოფილებს ძირითად ორგანიზაციების მოთხოვნილებას.

რემედასის კახეთის ორგანიზაციის მთელი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა დაუყონებლივ იქნეს გამოსწორებული საოლქო კომიტეტის მუშაობა, რისთვისაც ჩატარებული უნდა იქნეს შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებანი:

დაუყონებლივ იქნეს ჩატარებული რემდეასის ბიუროების გადარჩევების კამპანია, რომლის შემდეგ ჩატარებული იქნეს საარაიონო და საოლქო კონფერენციები. დარაიონებასთან დაკავშირებით გაუქმებული უნდა იქმნას რემედასის სათემო კომიტეტები და ჩამოყალიბებული იქნას რაიკომები შემდეგ ცენტრებში:

გურჯაანში, თელავში, სიღნაღში, ლაგოდეხსა და ყვარელში.

გადახალისებული იქნეს რემედასის საოლქო კომიტეტი და მის შემადგენლობაში იქნეს შეყვანილი საზოგადოებრივი მუშაობით დაინტერესებული ამხანაგები, უმთავრესად მუშების წრიდან.

რემედასის კახეთის ორგანიზაციის მუშაობის პირობები აუცილებლათ მოითხოვს ფასიანი მომუშავეებს აყვანას. როგორც საოლქო კომიტეტში (ინსტრუქტორი — იგივე მდივანი), ისე მძლავრ რაიონებში, როგორიც არის თელავი და სიღნაღი. დანარჩენ რაიონებში ფასიანი მომუშავეების აყვანა ჯერ-ჯერობით მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ამ რაიონებში აქტივის წამოწევას და ნებაყოფლობითი ინსტრუქტორთა კადრის გამოყენებას.

სწორი აღრიცხვის უქონლობის გამო შეუძლებელია ორგანიზაციის ზრდის და მისი მოწესრიგების გამორკვევა, მაგრამ ის მასალები, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში არის ნათლად გვიჩვენებს, რომ ჯერ რემედასის ორგანიზაცია არ არის შეჭრილი მუშა-მოსამსახურეების და მშრომელი გლეხობის ფართე მასებში.

მომავალში საჭიროა უმთავრესი ყურადღება მიექცეს ორგანიზაციის ზრდას. პირველ რიგში რემედასის რიგებში ჩაბმულ უნდა იქნენ მუშები, მუშა-მეოჯახე ქალები, მოჯამაგირეები და მშრომელი გლეხობა. ამასთან საჭიროა სასტიკი ბრძოლა იქნეს წარმოებული იმ მხრივ რომ რემედასი გამოიყენონ თავიანთი ინტერესებისათვის, რათა გაელემენტები, რომლებიც ეჭვს გარეშეა შეეცდებიან რემედასი გამოიყენონ თავიანთი ინტერესებისათვის, რათა გაძლიერონ თავიანთი გავლენა მოსახლეობის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რემედასის ორგანიზაციის ზრდა უნდა სწარმოებდეს უმთავრესად არსებულ უჯრედების ხარჯზე და ამასთან საოლქო და საარიონო კომიტეტების მთავარი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული რემედასის უჯრედების დაარსებაზე კოლ-მეურნეობებში.

ახალი აქტივის წამოწევის საკითხს რემედასის მუშაობაში არ ექცეოდა მნიშვნელოვანი ყურადღება, ერთი ამხანაგის გადაყვანით ადგილი აქვს რემედასის უჯრედის მუშაობის ჩაშლას; მომავალში საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ახალი აქტივის რემედასის მუშაობაში წამოწევის საკითხს, აქტივის მომზადების სხვადასხვა ფორმების გამოძუშავებით, როგორიცაა: კურს-თათბირები. თათბირები, კონსულტაციების მოწყობა, რაიკომებში წრეების ჩამოყალიბება და სხვა.

ძირითად პროფესიონალური ორგანიზაციები — ქარხკომები, და ადგილკომები — მიუხედავათ მათზე სათანადო დირექტივის მიცემისა დღემდის არავითარ დახმარებას არ უწევენ რემედასის ორგანიზაციებს. ძალიან სუსტად ებმებიან რემედასის მუშაობაში მასწავლებლებიც, — ამისათვის საქართველოს პროფსაბჭოს მიერ დაგზავნილი დირექტივა ხელმეორედ იქნეს დამუშავებული რემედასის უჯრედებში და იქ, სადაც საჭიროა (განათლების და მიწატყის კავშირები) დაგზავნილ იქნეს ხსენებული დირექტივა კახეთის ოლქის პროფსაბჭოს საშუალებით.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში რემედასის ორგანიზაციას ენიჭება სათანადო მნიშვნელობა. მიუხედავათ საქ. კ. პ. ცეკას და რემედასის საქ. ცეკას დირექტივებისა ჯერ ამ დარგში თითქმის არაფერი არ გაკეთებულა, არც არის გამოყოფილი რემედასის საოლქო კომიტეტთან ახალგაზრდათა შორის მომუშავე სპეციალური სექცია, აგრეთვე ძალიან სუსტად არის ჩაბმული რემედასის რიგებში კომკავშირელი ახალგაზრდობა. ახალ-

პროფესიონალურ მუშაკს — **ლეო ტერნერს** ქ. შარლოტეში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) ფაშისტებმა უმოწყალოდ სცემეს და შემდეგ გულზე მიაყენეს ორი ჭრილობა.

გაზრდობის მუშაობის გაძლიერებისათვის ა. ლ. კ. კ. კახეთის საოლქო კომიტეტთან შეთანხმებით დაარსებული იქნეს რემედასის საოლქო კომიტეტთან და რაიკომებში სპეციალური სექცია და აგრეთვე უჯრედებში გამოყოფილნი იქნან ამ დარგში სამუშაოდ რწმუნებულები.

რემედასის მასიური მუშაობა კახეთის ოლქში საერთოდ ძლიერ მოისუსტებს, უჯრედები ადგილებზე ვერ ერკვევიან, თუ როგორ უნდა აწარმოონ მასიური მუშაობა. ამისათვის საჭიროა დამუშავებულ იქნეს რემედასის რაიკომების მიერ რეზოლიუცია მასიური მუშაობის შესახებ მიღებული საქ. რემედასის ცეკას მეორე პლენუმის მიერ. შემდეგში ამ საკითხის უჯრედებში დამუშავების მიზნით.

პოლიტ-პატიმრებზე შეფობა წარმოადგენს პროლეტარიატისა და მშრომელ გლეხობის კლასობრივ ერთსულოვნების განმტკიცების საუკეთესო ფორმას. მიუხედავათ ამისა რემედასის მასას არა თუ არ შეუგნია მისი უდიდესი მნიშვნელობა, არამედ არც იცის, თუ რომელი, საზღვარგარეთელი ციხე და ორგანიზაცია არის მიმაგრებული მასზე. საჭიროა სასწრაფოდ ეცნობოს ადგილებს, თუ რომელი ციხე და ორგანიზაცია არის მიმაგრებული მათზე და აგრეთვე დაეგზავნოს მათ რემედასის საქ. ცეკას მიერ დამუშავეული ინსტრუქცია მიწერ-მოწერის წარმოებისა და დახმარების აღმოჩენის პირობების შესახებ.

რემედასის ერთიანი დღეები თითქმის სრულებით არ ჩატარებულა. საჭიროა ეხლავე მიეცეს ადგილებს სათანადო ახსნა-განმარტება ერთიანი დღეების ჩატრების შესახებ და განსაზღვრული იქნეს ამ დღეების ჩატარება არა ნაკლები ერთი ჯერისა ორ-თვეში თანახმად საქ. კომპარტიის აგიტპროპთა რესპუბლიკანურ თათბირის დადგენილებისა, — რომლის ჩატარების დროს უნდა ირჩეოდეს უმთავრესად რემედასის ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკული საკითხები. საჭიროა აგრეთვე რემედასის კახეთის საოლქო კომიტეტმა რეგულიარულად მიუთითოს ადგილებს, თუ რა საკითხები უნდა იქნას დამუშავებული ერთიანი დღის ჩატარების დროს.

ბეჭვდითი სიტყვის დარგში უნდა აღინიშნოს, რომ საოლქო კომიტეტს თითქმის არაფერი არ გაუკეთებია,—ლიტერატურის დავალიანება ირიცხება საოლქო კომიტეტზე 500 მან. — საჭიროა ახლო მომავალში რემედასის ორგანიზაციებში ჩატარებული იქნეს სპეციალური კამპანია ჟურნ. „რ ე მ ე დ ა ს"-ზე ინდივიდუალური ხელის მოწერის ჩასატარებლად და მიღებული იქნეს ყოველგვარი ღონისძიება ძველი დავალიანების დასაფარავად:

საოლქო კომიტეტმა ეხლავე უნდა შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა და გადმოაგზავნოს რემედასის საქ. ცეკაში დასამტკიცებლად. საოლქო კომიტეტი ვალდებულია ყოველგვარი ღონისძიება მიიღოს საწევრო ანარიცხების



გასტონიის მუშათა პროცესი. სასამართლოს დარბაზში სხდომის დროს.

აკრეფაში, რომელიც 69 პროცენტს შეადგენს, აგრეთვე ჩატარებული უნდა იქნეს სათანადო ახსნა-განმარტებითი კამპანია ფულის ფოსტა-ტელეგრაფით გადმოგზავნის ახალ ფორმაზე გადასვლის შესახებ და დარაიონების ჩატარების შემდეგ ეს ღონისძიება გატარებულ იქნეს ცხოვრებაში.

წინადადება მიეცეს საოლქო კომიტეტს, რათა ახლო მომავალში დამუშავებული იქნეს საკითხი საქმიანი თვითკრიტიკის გაღვიევების შესახებ რემედასის ორგნიზაციებში.

რემედასის მთელი მუშაობის გაძლიერების და რემედასელების სოციალისტური აღმშენებლობაში აქტიურად ჩაბმის მიზნით ჩატარდეს ორგანიზაციებს შორს სოციალისტური შეჯიბრება.

ასეთი ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებით ჩვენ შევსძლებთ ერთი-ორად გავაძლიეროთ კაპიტალის პატიმართა მიმართ მატიერიალური და მორალური დახმარება. ამავე დროს ჩვენ ამით სათანადო ნიადაგზე დავაყენებთ მშრომელი მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეს.

მიხ. ცქვიტინიძე.

ყოველი მშრომელი ვალდებულია რემედასში შეიტანოს თავისი მცირედი წვლილი, ჩვენ ამით შევსძლებთ ძმური დახმარება აღმოტჩინოთ კაპიტალის პატიმრებს!

კვირეულის განმავლობაში რემედასის რიგებში ჩვენ უნდა ჩავაბათ მშრომელთა ახალი კადრები!

რემედიელი კომუნისტებიდან

რემედასის მუშაობა ქუთაისის ოლქში

(რემედასის ქუთაისის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი).

მიმდინარე წლის ნოემბრის 23 ქ. ქუთაისში გაიხსნა რემედასის ქუთაისის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი. ყოფილი რაჭა-ლეჩხუმის, ქუთაისის და შორაპნის მაზრებიდან დაესწრო 31 დელეგატი. პლენუმს დაესწრენ აგრეთვე ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პლენუმი გახსნა რემედასის ცეკას პ/მგ. მდივანმა, ამხ. ვლადიმერ თოდრიამ, რომელმაც მოკლე სიტყვით აღნიშნა დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა. კაპიტალის ქვეყნებში რევოლიუციონური მუშათა კლასის ბრძოლის მძიმე პირობები და ის უდიდესი ამოცანები, რომელიც სდგას ჩვენი ორგანიზაციის წინაშე.

ამის შემდეგ დღის წესრიგში დამტკიცდა შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება ადგილებიდან. 2) რემედასის ცეკას მოხსენება მაზრებში მუშაობის შესახებ (თანამომხსენებელი ამხ. ვლ. თოდრია); 3) საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევნები და 4) მიმდინარე საკითხები.

მოხსენება ადგილებიდან.

ამხ. ჟ ღ ე ნ ტ ი (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა). რემედასის რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანებული კომიტეტი ჩამოყალიბდა 1929 წ. ივლისის 20; ორგანიზაციას დახმარებას უწევდა განათლების მუშაკთა კავშირი; გაოლქების პროცესმა შეაფერხა ორგანიზაციის ნაყოფიერი მუშაობა, რადგანაც აქტიური მუშაკები დაიქსაქსენ. ამის შემდეგ რემედასის მუშაობა დაევალა თავდაცვა-ავიოქიმში მომუშავე ამხანაგს, ვინმე ჩარკვიანს, რომელმაც საქმის გაკეთების მაგივრად გაიტაცა 220 მანეთი და მიიმალა.



გასტონიის მუშები ამხ. ლელ, უელს და სეილორ, რომლებსაც გასტონში თავს დაესხენ ფაშისტური ბანდები. ერთი მათგანი უმოწყალოდ სცემეს დანაჩენი ორი კი შემთხვევით გადარჩენ.

კომიტეტის ძველ შემადგენლობის დროს ქონდა დავალიანება, რომლის რაოდენობა დღემდის გამოურკვეველია. ადგილ. ჰქონდა რემედასის თანხების გასესხებასაც სხვა ორგანიზაციებზე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით მუშაობა გამოცოცხლებულია.

ჩამოყალიბებულია 53 უჯრედი, რომელიც აერთიანებს 4000 წევრს. უკანასკნელ ხანებში გადაგზავნილია თანხები რემედასის საქ. ცენტრალურ კომიტეტში.

ამხ. ლ ა შ ხ ი (შორაპნის მაზრა). სამაზრო კომიტეტი ჩამოყალიბდა 1917 წ. ოქტომბერში. 1928 წ. 11 მარტს მოწვეულ იქნა პლენუმი, ხოლო მიმდ. წლის ივნისის პირველს კი — კონფერენცია. მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მაზრაში. ყველა თემებში ჩამოყალიბებულია სათემო კომიტეტები.

მაზრის მასტაბით თითქმის ყველგან ეწყობა რემედასის საღამო-წარმოდგენები, მოხსენებები და სხვა. ორგანიზაციაში ჩაბმულია ქალთა საგრძნობი რაოდენობა. წარსულთან შედარებით. რემედასის ლიტერატურა, როგორც პერიოდული, ისე არაპერიოდული საკმაოდ ვრცელდება.

დიდ უხერხულობას ჰქმნის ადგილებთან ცოცხალი კავშირის დაჭერის მოუგვარებლობა, ეს უნდა მიეწეროს მეორე მუშაკის უყოლობას, რაც აუცილებლად საჭიროა. ადგილებზე პარტიული ამხანაგები დიდ-გულგრილობას იჩენენ რემედასის მუშაობისადმი. წარსულ მუშაობაში დაშვებული იყო ზოგიერთი შეცდომები, რომელიც თანდათან სწორდება. სამაზრო კომიტეტის შემადგენლობას ჰქონდა აგრეთვე კომერციული გადახრები, მაგრამ დღეს ყველაფერ ამას ლიკვიდაცია გაუკეთდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ორგანიზაციის რიგებისაკენ მასიურად ილტვიან მშრომელ მასები, მაგრამ მათი ჩაწერა ჩვენს ორგანიზაციებში ხდება სიის შედგენით, ვინაიდან საწევრო წიგნაკები და მარკები დროზე ვერ გამოგვაქვს ფოსტიდან სათანადო თანხების უქონლობის გამო. ამ მდგომარეობას უნდა მიექცეს ყურადღება და გამოვასწოროთ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ადგილებზე პარტიულ-პროფესიონალურ მუშაკებმა უფრო მეტი ენერგია უნდა გამოიჩინონ და უფრო ენერგიულად უნდა დაეხმაროონ რემედასს.

ამხ. გ ა ბ უ ნ ი ა (სამტრედია). აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ამხანაგების ხშირად გამოცვლამ საქმეს უდიდესი ზიანი მოუტანა, რასაც შედეგად მოჰყვა რამდენიმე უჯრედის დაშლა. სამტრედიის რაიონ-

ში საერთოდ მუშაობა დამაკმაყოფილებელად მიმდინარეობს. კულაშში ჩამოყალიბდა ებრაელთა უჯრედი, იანეთში რიკნისგზელთა და სხვ. რემედასის დავალიანებათა დასაფარავად ადგილებზე შემოიღეს ასეთი წესი: ლიტერატურისა და სხვა ხასიათის დავალინებას ამხანაგებს. თავიანთი სურვილისამებრ, ჯამაგირის მიღების დროს ურიცხავენ.

ამხ. ვ ლ. თ ო დ რ ი ა. (რემედასის საქ. ც. კ. პ/მგ. მდივანი). ეხება რემედასის უდიდეს მნიშვნელობას დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ პირობებში. ამხ. თოდრია ხაზგასმით აღნიშნავს იმ ნაკლს რომელიც ჩვენს მუშაობას ახასიათებს საერთოდ. თოდრია არ ეთანხმება ზოგიერთებს იმაში, რომ რემედასის წინაშე დავალიანების დასაფარავად ამხ. ჯამაგირებიდან ურიცხავენ თანხებს. ეს არ არის სწორი, ვინაიდან რემედასი ნებაყოფლობითი, ორგანიზაციაა და მისი წინაშე დავალიანების აკრება ნებაყოფლობით უნდა ხდებოდესო, ამბობს ის.

ამხ. თოდრია მოითხოვს, რემედასის მუშაობას უფრო მეტი შეგნებით და პასუხისმგებლობით შევხვდეთ ვიდრე ეს დღემდის იყო. ის ამავე დროს მოითხოვს ყოველგვარი დავალიანებათა სრულ ლიკვიდაციას, მაგრამ არა ძალმომრეობით, არამედ ნებაყოფლობით.

ამის შემდეგ ამხ. თოდრია ეხება საქ. რესპუბლიკის სხვა მაზერბში მუშაობს და აღნიშნავს იმ უნუგეშო მდგომარეობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გურიაში, კახეთში და სხვ. კუთხეებში, მაგრამ ჩვენ ეს უნდა გამოვაცოცხლოთ. მდგომარეობა ამ მხრივ არ არის უნუგეშო. ხალხი მეტისმეტად სიმპატიურად უყურებს ჩვენს ორგანიზაციას და თუ ჩვენ სათანადო ენერგიას გამოვიჩენთ შესაძლოა უფრო ნაყოფიერად მუშაობა.

ამხ. თოდრიამ ყველა შეკითხვებს გასცა სათანადო პასუხი; რის შემდეგ ადგილებიდან მოხსენებებების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: კ ო ტ ე ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე მ (ჭიათურა), ა ხ ო ბ ა ძ ე მ (სამტრედია), თ ვ ა ლ ჭ რ ე ლ ი ძ ე მ (რაჭა), ქ ა ჯ ა ი ა მ (ხონი), ა ბ უ ლ ა ძ ე მ (ზესტაფონი), ტ რ ა პ ა ი ძ ე მ (ვანი), ძ ო ძ ი ა შ ვ ი ლ მ ა (ქუთაისი), ბ ა ს ი ლ ა ძ ე მ (ქუთაისის სტამბის უჯრედი) და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რემედასის მუშაობის გამოცოცხლებას საერთოდ, მასიურ ლტოლვას მის რიგებისაკენ. ამხანაგები დაბეჯითებით მოითხოვდენ რემედასის ლიტერატურის გამოცემის უფრო გაფართოებას, მუშათა კლუბებისათვის სათანადო რევოლიუციონურ პიესების შერჩევას და გამოცემას.

ამხ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე (რემედასის ს. ცეკა). ეხება რემედასის ახალ საბიუჯეტო სისტემას, თანხების ფოსტის საშუალებით გადაგზავნას (ინკასაცია) და წევრთა აღრიცხვის სწორად დაყენებისათვის საბარათო სისტემის შემოღებას 1930 წ. იანვრის პირველიდან.

დასასრულ პლენუმმა აირჩია საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

გასტონიის მუშები, რომელთა პროცესი დღეს სწარმოებს შარლოტში, მტკიცედ და მხნედ არიან პატიმრობის დროს ისინი ანდომებენ მარქსიზმისა და ლენინიზმის შესწავლას. სურათზე 13 მუშა საკანში მეცადინეობის დროს.

1. ჯანჯღავა, 2. ფანცულაია, 3. აბულაძე, 4. კვიჟინაძე. 5. ძოძიაშვილი, 6. ბიწაძე, 7. ახვლედიანი, 8. ნიკოლეიშვილი, 9. ჩახალაძე, 10. იმნაძისა მარო, 11. ფარცვანია, 12. ცირეკიძე, 13. ბასილაძე, 14. მდივნიშვილი, 15. მუქერია, 16. გელაშვილი და 17. ხურციძე.

კანდიდატებათ: 1. თვალჭრელიძე, 2. ხუჭუა, 3. ქაჯაია, 4 ლაშხი, 5. საყვარელიძე, 6. ჟღენტი და 7. გაბუნია.

საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეთ პლენუმმა ერთხმად აირჩია ა კ ა კ ი ფ ა ნ ც უ ლ ა ი ა, ხოლო პ/მგ. მდივნად კი — გიორგი ძოძიაშვილი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ 1. ორლოვი, 2. გაჩეჩილაძე, 3. ცომაია, 4. გიორგობიანი და 5. მელაძე.

კანდიდატებათ: 1. ხელაძე და 2. მაღლაკელიძე.

ამის შემდეგ პლენუმი დაიხურა. ჩვენ იმედი გვაქვს ქუთაისის საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა გაითვალისწინებს წარსულ წლებში დაშვებულ შეცდომებს გამოიყენებს ჩვენი ორგანიზაციის მიღწევებს და და მომავალ მუშაობას დააყენებს სათანადო სიმაღლეზე.

სავლე აბულაძე.

კვირეულის განმავლობაში ერთი-ორად უნდა გავაძლიეროთ ხელისმოწერთა რაოდენობა რემედასის პერიოდიულ გამოცემებზე. რემედასის წევრებო და უჯრედებო, ხელი შეუწყვეთ ჩვენი ჟურნალის გავრცელებას მშრომელ მასაში!

„უმუშევრები“ — ახლო წარსულში გარდაცვლილ გერმანელ მხატვრის — ცილეს სურათიდან.

დამშეულთა გოდება

გეშია. გვწყურია, —
ვკანკალებთ, გვცივა —
ზამთარ-ზაფხული
ქუჩებში ვყრივართ

ჩვენთვის არ არის
მყუდრო ბინა, თავშესაფარი; —
ჩვენი სამოსი არის მუდამ
წვიმა და ქარი.

ჩვენ ვედინებით ქალაქებიდან
მშიერ-მწყურვალნი, —
ლუკმა პურისთვის ვებრძვით
ყოველ დღე მხეცი-მტარვალებს!

მაგრამ მოვა დრო
შევებრძოლებით —
ამ ჩვენს სიცოცხლეს
ბნელს და უკუნეთს —

და ჩვენს რიგებში
გოდების ნაცვლად
მებრძოლთა ხმები
დაიგუგუნებს.

გ. ვ.

რემედასის მუშაობა სენაკის მაზრაში

რემედასის მუშაობა სენაკის მაზრაში იწყება 1924 წ. პირველ ხანებში ჩამოყალიბდა რაღაც 6 თუ 7 უჯრედი. ამ უჯრედებმა გაცხოველებული მუშაობა ჩაატარეს მშრომელ მოსახლეობაში და დღეს, როგორც ვიცით მაზრის თითქმის ყველა კუთხეში არსებობს თითო-ოროლა უჯრედი; უნდა ითქვას, რომ რემედასის ორგანიზაციისაკენ მასიურად ილტვის მშრომელი მოსახლეობა.

თუ ჩვენ სათანადო სტატისტიკას თვალს გადავავლებთ დავრწმუნდებით იმაში, რომ რემედასს ძალიან მტკიცე და მყარი ნიადაგი აქვს მშრომელთა ფენებში. ასე, მაგალითად თუ 1928 წ. ოქტომბრის პირველისათვის მაზრის მასშტაბით არსებობდა 54 უჯრედი 1929 წ. პირველ ოქტომბრისათვის უჯრედთა საერთო რაოდენობა უდრის 68. ცხადია უჯრედთა რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება წევრთა შემადგენლობაც. მაზრის მასშტაბით 1928 წ. ირიცხებოდა სულ 2.700 წევრი, დღეს კი 5.280 აღწევს. როგორც ვხედავთ წევრთა შემადგენლობა დღითი-დღე მატულობს.

რიცხვობრივად ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად მტკიცდება და ვითარდება ორგანიზაციული მუშაობაც. ამასთან დაკავშირებით ძლიერდება ორგანიზაციის ფინანსიური მხარეც. თუ 1927 წ. სამაზრკომში ადგილებიდან შემოსულა 1035 მან. 14 კაპ., 1928 წ. შემოსულა 1566 მანეთი და 28 კაპ. როგორც ვხედავთ აქაც ადგილი აქვს ნაწილობრივ მიღწევას, მაგრამ ეს საკმარისი არაა. სენაკის მაზრაში არის იმის შესაძლებლობა, რომ რემედასის

ორგანიზაციამ თავისი მუშაობა დააყენოს სათანადო ნიადაგზე. ეს კი ჯერჯერობით მიღწეული არაა.

დღემდე სამაზრკომსა და ადგილებზე მომუშავე უჯრედთა შორის არ არსებობდა არავითარი ცოცხალი კავშირი და ეს იყო მიზეზი იმსა, რომ მუშაობა ზოგიერთ ადგილებში თითქმის აღარ არსებობდა. უკანასკნელ ხანებში ემჩნევა ოდნავი გამოცოცხლება ამ მდგომარეობას. დღეს მაზრას ჰყავს მოხალისე ინსტრუქტორთა მცირე რიცხოვანი კადრი, რომელიც საჭიროების მიხედვით მოგზაურობს მაზრს სხვადასხვა ადგილებში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საგრძნობლად გამოასწორებს არსებულ მდგომადეობას.

უნდა დავიმახსოვროთ, რომ არ კმარა მარტო რემედასის წევრობა, საჭიროა უფრო მეტი აქტივობა, მეტი საქმიანობა და ამ მიზნით კი რემედასის წევრები უნდა ჩაებან სხვადასხვა კულტურულ საზოგადოებაში. საჭიროა რემედასის წევრი ნათლად ერკვეოდეს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში. ამისათვის კი საჭიროა რაც შეიძლება უფრო მეტი რემედასის ლიტერატურის გავრცელება. დღეს დღეობით ეს საკითხი მოუგვარებელია, მაგალითად იქ სადაც რემედასს 500 წევრი ჰყავს ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს“ ვრცელდება 100 ცალამდე. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და მომავალ წლისათვის არ უნდა დარჩეს არც ერთი რემედასის წევრი ჟურნალის გამოწერის გარეშე.

რემედასის სამაზრო კომიტეტს მართებს უფრო ნაყოფიერად მოქმედება. საჭიროა მაზრამ ხელი შეუწყოს ყველა იმ დეფექტების აღმოფხვრას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს მუშაობაში ადგილებზე. მაზრა ვერ იჩენს საკმაო უნარიანობას, რაც დროზე უნდა იქნეს გამოსწორებული.

პოლიკარპე ოჩიგავა.

საბარგო ავტომობილი, რომლითაც მიტინგზე მიემგზავრებოდენ მუშები, ბესემერ-სიტში (გასტონია) მათ თავს დაესხენ ფაშისტები. ამ თავდასხმის დროს მოკლულ იქნა ქალი ვიგინს.
(იხ. ჟურ. „რემედას“-ის № 10).

ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ტ ყ ვ ე ე ბ ი

ვინ არ იცნობს თქვენს შარას
სისხლიანს და ეკლიანს;
მაგრამ ქედი არასდროს
თქვენ არ მოგიდრეკიათ.
თქვენი ხვედრი ტანჯვაა
ან სიკვდილი ქურდული.
ტანზე შემოგხვევიათ
ჯაჭვი, რკინა, ურდული.
მაგრამ გრძნობთ, რომ ბრძოლაში
დღეს თქვენ მარტო არა ხართ —
შეშრომელთ მილიონები
გადაბმულან მხარ და მხარ.
თავს აღწევენ ბრძოლებით
ამ დროს მრავალ გზებიანს. —
ერთ დროშის ქვეშ ყველანი
მედგრად ირაზმებინ.
აი, თუნდაც როს ზამთრის
დღენი გაავდრებულან —
ჩვენში ქუჩა მორთულა
ქუჩაც გაწითლებულა.
და ან ვინ იუცხოვებს
დღეს მოძმენო ამ ამბავს,
რომ აქ დაატარებენ
თეთრ თუნუქის ყულაბას.
ქუჩებს ახალგაზრდები
სიხარულით ავსებენ
და ყულაბას თუნუქის
ვისაც შესთავაზებენ
ისიც წამსვე ღიმილით
მისკენ გაეშურება...
ან მებრძოლთ დახმარება
აქ ვის დაეშურება?
მაშინ როცა ჩვენზე მტერს
აუმართავს მახვილი,
მაინც არ გვავიწყდება
ძმებო თქვენი ძახილი.
ვხედავთ ყველას ბრძოლისგან
დაგსერვიათ მკერდები,
მაგრამ ვგრძნობ, რომ თქვენც მალე
ძმებო შეგვიერთდებით
ბრძოლის ცეცხლში ნაწრთობი
დროშა გაიფრიალებს
და ყველგან გამარჯვების
ხმები დაიგრიალებს.

ვ. ერდელი.

ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის დღესასწაული საზღვარგარეთ: ოქტომბრის წლის თავი კარგა ხანია, რაც გადიქცა არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელთა დღესასწაულად, არამედ მას დღესასწაულობს მთელი ქვეყნის პროლეტარიატი. ჩვეულებრივად წელსაც დიდი დემონსტრაციებით აღინიშნა ის ყველა ქვეყნებში. მიუხედავად პოლიციელთა მკაცრი ტერორისა და რეპრესების ყველა ქვეყნის მუშებმა თავიანთ წარმოებებში ჩაატარეს დემონსტრაციები და მიტინგები. განსაკუთრებულის სიცხოველით იქნა ეს დღესასწაული ჩატარებული პარიზში, ბერლინში, ვარშავაში და ბუქარესტში. ბერლინში კომუნისტურმა პარტიამ პროლეტარული დღესასწაული გამოიყენა და არჩევნებისათვის ჩაატარა მშრომელ მასების მობილიზაცია. სურათზე მუშათა დემონსტრაცია ლიუსტგაარტენში ერთ-ერთი ცენტრალური მოედანია ბერლინში.).

რემედასის მუშაობა ფოცხოში

(სენაკის მაზრა)

სენაკის მაზრაში საერთოდ ძალზე სუსტია ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობა. ხშირად შეხვდებით ისეთ თემებს, სადაც მარტო „ჩამოყალიბებულია“ რემედასის ორგანიზაცია, უკეთ, რომ ვსთქვათ ჩამოწერილია წევრების სია და მეტი არაფერი. საქმე აღარ სჩანს. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ სუჯუნისა და უშაფათის თემები. აქ შეხვდებით ისეთ გლეხებს, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ რემედასსზე. ისინი აცხადებენ,—„დაგვირიგეს საწევრო წიგნაკები, აკრიბეს საწევრო ანარიცხები და წავიდენ, ორ წელზე მეტია ჩვენ არავინ გვინახავს, არც არავითარი ახსნა-გამარტება მოუცია ვინმესო“.

ეს არა ნორმალური და ყოვლად დაუშვებელი მოვლენა უწინარეს ყოვლისა უნდა მივაწეროთ რემედასის ორგანიზაციის ხელმძღვანელად არჩეულ ამხანაგების სრულ უპასუხისმგებლობას და თავიანთი მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობას.

სხვა რაღას უნდა მიეწეროს ზემოხსენებულ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უმოქმედობა, თუ არა ორგანიზაციისადმი უყურადღებობას.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველგან ასეთი სურათის მოწმე ვიყოთ, მაგალითად ფოცხოს თემში არსებობს რემედასის ბიურო, რომელიც აერთიანებს 65 წევრს.

ბიუროს მუშაობა საკმაოდ დამაკმაყოფილებელია, აქვს მიღწევები მუშაობაში. სამაზრო კომიტეტისაგან მიღებული ინსტრუქციები თავის დროზე მუშავდება და იგზავნება დირექტივები. დღეს დღეობით თემის მასტაბით ოთხ ადგილას არსებობს რემედასის კედლის გაზეთი, ჩამოყალიბებულია სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფები, როგორიცაა ახალგაზრდათა და გლეხთა შორის მომუშავე, საგიტაციო-საპროპაგანდო და სხვ.

ბიურო დიდ მზრუნველობას იჩენს ორგანიზაციის ფინანსიურ ღონისძიების გასაძლიერებლად. ყოველგვარი სა-

ქმიანობის შესახებ თავის დროზე ეძლევა ახსნა-განმარტება და სათანადო ანგარიშები სამაზრო კომიტეტს.

ბირუოს ნაყოფიერი მუშაობა უსათუოთ უნდა მიეწეროს მის ხელმძღვანელს ამხ. ა ლ. ქ ა დ ა რ ი ა ს მუყაითობას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ადგილობრივი პარტ-ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს რემედასის მუშაობას, საჭიროა ეს ნაკლი გამოსწორებული იქნეს. პარტიის სათემო კომიტეტმა უფრო მეტი ენერგია უნდა გამოიჩინოს და თუ ის ვერ უხელმძღვანელებს რემედასის ორგანიზაციის მუშაობას სათანადო დახმარება მაინც უნდა აღმოუჩინოს კანონიერ ფარგლებში.

გრიშა საბახტარაშვილი.

ამხ. **ერვინ ცუკერი**, ავსტრიის კომპარტიის გაზეთ „**როტე ფანე**"-ს რედაქტორი, დაპატიმრებულია და ბრალდება სახელმწიფოს წინააღმდეგ ღალატი.

ამხ. **განს შრედერ** — გერმანიის „როტე ფანე"-ს რედაქტორი საპატიმროში მიღებული ტანისამოსში. ამხ. შრედერი დღეს იმყოფება სიმაგრე კოლნოვოში, მას ბრალდება სახელმწიფოს ღალატი.

სოციალისტური შეჯიბრი რემედასის ორგანიზაციებში

(ს ა მ ტ რ ე დ ი ა)

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან რემედასის სამტრედიის რაიკომი შეჯიბრებაში იწვევს რემედასის ქ. ხონის რაიკომს.

შეჯიბრის პირობებში შემდეგია.

1. ყოველგვარი დავალიანებათა ლიკვიდაცია, როგორ ცენტრის წინაშე ისე ადგილობრივად.

2. პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირის წევრებისა და საერთოდ მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთა მასების რემედასის ორგანიზაციებში ჩაბმა სრული ასი პროცენტით.

3. რემედასის მუშაობის ხარისხობრივად ზრდასთან დაკავშირებით ინტერნაციონალურად აღზრდის გაღრმავება მშრომელთა მასაში. ამ მიზნით ხშირად ლექცია-საუბრების ჩატარება ქვემდგომ ორგანიზაციებში. რემედასის კუთხეების ქსელის გაფართოება და საშეფო მუშაობის ერთი-ორად გაძლიერება.

4. ჟურნალ „რემედას"-ის ხელისმოწერის ჩატარება მომავალ 1930 წლისათვის.

5. ფინანსიური ღონისძიებათა გაძლიერება ნებაყოფლობითი შემოწირულებათა საშუალებით.

გარდა ამისა.

რემედასის სამტრედიის რკინის გზის მოძრაობის დარგის უჯრედმა გამოიწვია საყუდის რემედასის უჯრედი. რკინის გზის ქალთა რწმუნებულებმა გამოიწვიეს თავიანთი ორგანიზაციის წევრები ორ-სამ მანეთში რემედასის სასარგებლოთ.

გამოწვევა სწარმოებს აგრეთვე სხვა უჯრედებშიაც; გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე რემედასის ქალაქისა და სოფლის უჯრედებს შორის შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ.

რემედასის სამტრედიის რაიკომი იმედოვნებს ადგილობრივი ორგანიზაციები აქტურად ჩაებმებიან და პირნათლად შეასრულებენ კაპიტალის პატიმართა მატერიალურ და მორალურ დახმარების დიად საქმეს.

გაბუ.

გავაძლიეროთ სოციალისტური შეჯიბრება

(ქ. ზესტაფონი)

ქ. ზესტაფონის პედაგოგიურ ტეხნიკუმთან არსებული რემედასის უჯრედი იწვევს სოციალისტურ შეჯიბრებაში შემდეგ უჯრედებს:

ზესტაფონიდან: 1. ათწლედს, 2. რკინის გზის სკოლას, 3. ტრანსპორტს, 4. პირველ შვიდწლედს, 5. სასოფლო-სამეურნეო სკოლას და 6. მილიციის რემედასის უჯრედს.

ჭიათურიდან: 1. ათწლედს, 2. მაღალ ტიპის სკოლას, 3. რკინის გზის რემედასის შეერთებულ უჯრედს.

ხარაგოულიდან: 1. ათწლედს, 2. რკინის გზის გაერთიანებულ რემედასის უჯრედს.

შეჯიბრების პირობებათ გამოცხადებულია შემდეგი:

1. მოწაფეებისა და მუშების 80% ჩაბმა რემედასის რიგებში, 2. წითელი კუთხეების ჩამოყალიბება. 3. უჯრედის ფინანსიური ღონისძიებათა გაძლიერება (პოლიტ-ემიგრანტებისათვის დასასვენებელი სახლის ასაშენებელი ფონდის დაარსება). 4. კულ-მუშაობის გაღრმავება. 5. ჟურნალ „რემედასისა" და საერთოდ რემედასის ლიტერატურის გავრცელება მშრომელ მასებში. 6. საწევრო ანარიცხების სრული 100% ლიკვიდაცია, 7. საშეფო მუშაობის გაცხოველება.

თუ ჩვენს მიერ დასახელებულ რომელიმე უჯრედზე დღემდის მიმაგრებული არაა, საშეფო საპყრობილე მოგვარდეს ეს საკითხი.

საშეფო უჯრედში ჩატარდეს შემდეგი მუშაობა:

ა) უჯრედისათვის საინტერესო საკითხების ირგვლივ მოეწყოს თათბირები და საუბრები.

ბ) სოფლის უჯრედისათვის გამოწერილი იქნეს ერთი ცალი „რემედას" და ჩატარებული იქნეს ფართე კამპანია საერთოდ რემედასის ლიტერატურის გასავრცელებლად მასაში.

ვ) მუშაობის მეტი ნაყოფიერებისათვის ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ნებაყოფლობითი ჯგუფები.

დ) ხშირად იმართებოდეს საღამო-წარმოდგენები, ამ მიზნით აქედანვე შერჩეული იქნეს სათანადო რევოლიუციონური პიესები.

ე) ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული ახალგაზრდობის დასარაზმავად რემედასის რიგებში.

პედტხნიკუმის რემედასის ბიუროს მდივანი: **ალ. გუწაძე.**

რემედასის აჭარისტანის საოლქო კომიტეტს

ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საფუძვლად ვსთვლით რა ფართედ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას — რემედასის ქუთაისის საოლქო კომიტეტი გიწვევთ თქვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში რემედასის ორგანიზაციების გაჯანსაღებისა და მისი შემდგომი მუშაობის გაშლა-გაფართოების მიზნით.

ქუთაისის რემედასის საოლქო კომიტეტი შეჯიბრების პირობათ აყენებს შემდეგს:

1. ყოველგვარი დავალიანებათა ლიკვიდაცია საერთოდ.

2. რემედასის რიგებში პარტიულ, პროფესიონალურ და კომკავშირული მასის 60% ჩაბმა და რემედასის წევრთა გაძლიერება 30 %.

3. რემედასის ორგანიზაციების თვისობრივი გაუმჯობესება 25%, რაც მოკლედ შემდეგში უნდა გამოიხატოს:

ა) ინტერნაციონალური და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება;

ბ) ლექციებისა და საუბრების ხშირად ჩატარება;

გ) რემედასის კუთხეების ქსელის გაფართოება და მათი შინაარსის გაუმჯობესება;

დ) რემედასის ერთიანი დღეებისა და კამპანიების წარმატებითი ჩატარება;

ე) საშეფო მუშაობის გამოცოცხლება და სხვ.

4. რემედასის ლიტერატურის გავრცელება და კერძოდ კი ჟურნალ „რემდას"-ის 1000 ხელის მომწერის შეკრება.

5. მატერიალური ღონისძიებათა ზრდა და ხარჯთ-აღრიცხვის სრული 100% შესრულება.

6. რაიკომებისა და უჯრედების ინკასაციაზე გადაყვანა და მასთან დაკავშირებული ამოცანების უნაკლოდ ცხოვრებაში გატარება.

შეჯიბრება დაწყებული იქნეს მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველს და გაგრძელდეს სრული ერთი წელი ე. ი. 1930 წ. ოქტომბრის პირველამდე.

შეჯიბრების შედეგების გადასინჯვა დაევალოს რემედასის საქ. ცეკას, რომელსაც უნდა ეთხოვოს გამოჰყოს სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: 1. რემედასის საქ. ცეკას წარმომადგენელი, 2. შეჯიბრებაში მონაწილეთა — ქუთაისის-ბათომის რემედასის საოლქო კომიტეტების პ/მგ. მდივნები და 3. ადგილობრივი პარტიულ-პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

რემედასის ქუთაისის საოლქო კომიტეტი.

დავეხმაროთ კაპიტალის პატიმრებს

უცხოეთის პოლიტ-პატიმართა სასარგებლოთ სამტრედის რემედასის სალაროში შემომაქვს ერთი მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. კატო კვანტალიანს, 2. ეპრა ონიანს, 3. ჟენია ერისთავს, 4. ნადია ჯანაშიას, 5. თეო შენგელიას, 6. ლეონიდა წულაიას, 7. ვერა ქადარიას, 8. ნადია გეგუჩაძეს, 9. ნინა ახალაიას, 10. ჟენია გედენიძეს, 11. ნინა თევზაძეს და 12. შუშანიკა ჯანჯალიას.

ანიჩქა ზამთარაძე.

ამხ. ანიჩქა ზამთარაძის გამოწვევით რემედასის სამტ-
ოედიის ორგანიზაციის სალაროში შემომაქვს ერთი მანეთი
და ამავე მიზნით ვიწვევ ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს:
1. ვაშა ლომიძეს, 2. თამარა ჩაჩუას, 3. ვერა ტაბიძეს, 4.
ილია წულუკიძეს, 5. მაირამ ბალანჩივაძეს, 6. მარუსია კუ-
ხალეიშვილს და 7. ნადია ჯანაშიას.

ჟენია გედენიძე.

ოფიციალური განყოფილება

ცირკულიარი № 60.

რემედასის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

სამაზრო კამპანიის ჩატარების შესახებ.

წარსულ წლების მაგალითების მიხედვით მიმდინარე წელს დეკემბრის 21 — 27, ტარდება რემედასის საზამთრო დახმარების კამპანია.

კვირეულის ჩატარების ძირითად მომენტებს წარმოადგენს:

ა) რემედასის რიგებში მშრომელთა ახალი კადრების ჩაბმა, უმთავრესად მუშების, უღარიბეს, საშუალო გლეხთა, დიასახლისთა და სხვა.

ბ) სოციალისტურ შეჯიბრებაში რემედასის წევრთა ჩაბმა, უმთავრესად მუშების, უღარიბეს, საშუალო გლეხმად ხეტიალის წინააღმდეგ ბრძოლისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ნიშნს ქვეშ.

გ) მასიურ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება — რემედასის წევრთა დარაზმვა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ და ძველი ყოფაცხოვრების ნაშთებთან საბრძოლველად.

დ) როგორც ინტერნაციონალური მუშაობის, ისე კაპიტალისტურ ქვეყნების საპყრობილოებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრებსა და უცხოეთის მოძმე ორგანიზაციებთან კავშირის გაძლიერება, რაც წარმოადგენს საერთაშორისო მუშათა კლასის ერთსულოვნების საწინდარს.

ე) მასებში რემედასის ლიტერატურის გავრცელება და ინდივიდუალური ხელისმომწერთა შეგროვება რემედასის პერიოდულ გამოცემებზე, როგორიცაა ჟურნ. „რემედას", „პუტ მოპრა" და სპუტნიკ მოპრა".

ვ) ორგანიზაციის მატერიალური ღონისძიებათა გაძლიერება ყულაბებით ფულის შეგროვების, საალმო-წარმოდგენების მოწყობის ნებაყოფლობითი შემოწირულებათა შეგროვების, სხვადასხვა ანარიცხების აკრეფის საშუალებით და სხვა.

წამოყენებულ ღონისძიებათა შესასრულებლად ადგილებს ევალებათ ცხოვრებაში გაატარონ შემდეგი:

1. როგორც საოლქო სამაზრო აგრეთვე სათემო კომიტეტებთან ჩამოყალიბებული უნდა იქნეს რემედასის კვირეულის ჩამტარებელი კომისიები, რომლის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირის ორგანიზაციების, ქალთა განყოფილებების, პიონერთა კოლექტივების, საბინაო ამხანაგობათა, რემედასის და უპარტიო აქტივთა შორის პერსონალურად შერჩეული ამხანაგები. ამ მუშაობაში განსაკუთრებით ჩაბმული უნდა იქნენ რემედასის ორგანიზაციაში მომუშავე აქტიური ქალები.

2. უჯრედებთან არ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული სხვა კომისიები, მთელი მუშაობა კვირეულის ჩატარების დროს უნდა დაევალოს უჯრედთა ბიუროებს, რისთვისაც საჭიროა დროზე ეცნობოს მათ კვირეულის ამოცანები და ყოველ ცალკე შემთხვევაში უჯრედებს უნდა მიეცეს სათანადო მითითებანი მუშაობის ნაყოფიერად ჩასატარებლად.

3. ცალკე ორგანიზაციებს შორის ჩატარებულ შეჯიბრების მაგალითების გათვალისწინებით, როგორც მუშაობის პროცესში ისე, თვით კამპანიის ჩატარების დროს ფართეთ უნდა იქნეს გამოყენებული შეჯიბრება, ამ მიზნით მათ წინაშე წამოყენებული უნდა იქნეს კონკრეტიული ამოცანები ცხოვრებაში გასატარებლად.

4. კვირეულის ჩასატარებლად განმარტებით-მოსამზადებელ მუშაობას უნდა შეუდგეთ მიმდინარე წლის პირველ დეკემბრიდან, საკითხების წინასწარ გარჩევით რემედასის კომიტეტების პრეზიდიუმებზე, რაც შემდეგ გადატანილი უნდა იქნეს აქტივის და უჯრედის გაერთიანებულ კრებაზე მშრომელთა ფართე საზოგადოებრივ აზრის რემედასის ორგანიზაციის სასარგებლოდ მობილიზაციის მიზნით ამ კვირეულის ამოცანების ირგვლივ.

5. ქალაქის და სოფლის მშრომელთა მასისათვის სათანადო ახსნა-განმარტების მიცემის მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს მასიური მუშაობის ყველა ფორმები, როგორიცაა: კლუბები, ქოხ-სამკითხველოები, წითელ-არმიელთა ყაზარმები, პიონერთა კოლექტივები, სკოლები კუთხეები, საბინაო კავშირები ადგილობრივ კედლის, პარტიულ და საბჭოთა პრესაში საკითხის ფართედ გაშუქებით. არ უნდა იქნეს არც ერთი უჯრედი, რომელიც არ დაამუშავებს კვირეულის ჩატარების ამ ამოცანებს.

6. წინამდებარე დირექტივის მეხუთე მუხლში წამოყენებული ღონისძიებათა გასარჩარებლად წინადადება გეძლევათ ჩაატაროთ რემედასის სპეციალური დღე კვირუ-

ლის ამოცანების დასამუშავებლად, რაც უნდა მოეწყოს მშრომელი მასის უშუალო მონაწილეობით.

7. ყველა ორგანიზაციებში კვირეულის ჩატარება დაწყებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის 21 დეკემბერს და დამთავრდეს 27 დეკემბერს. კამპანიის დასაწყისისათვის დამთავრებული უნდა იყოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა — მოხსენებები, აქტივის მობილიზაცია, სამზადისი ყულაბებით ფულის შესაგროვებლად და სხვა.

8. კვირეულის ჩატარების დროს დასაწყის და დასასრულს 2-3 დღის ე. ი. სულ 4 დღის განმავლობაში ჩატარებული უნდა იქნეს ყულაბებით ფულის შეგროვება.

9. კვირეულის განმავლობაში დაბეგრილი იქნება ყველა საზოგადოებრივი გასართობები ადგილებზე, როგორიცაა მაგალითად: კინო-თეატრები, კლუბები, ცირკები და სხვ. კვირეულის განმავლობაში გაყიდულ ბილეთებზე დაწესებული იქნება 10 პროცენტი დამატება რემედასის სასარგებლოდ. რისთვისაც საჭიროა აქედანვე დაუკავშირდეთ მათ და ოფიციალურად წინადადება მიეცეს აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

10. საოლქო, სამაზრო და სათემო კომიტეტებთან კვირეულის ჩამტარებელ კომისიების ჩამოყალიბებასთან ერთად საჭიროა ჩამოყალიბებული იქნეს ქვე-კომისიები როგორიცაა: ა) საორგანიზაციო, რომელიც იმუშავებს საორგანიზაციო საკითხების ირგვლივ და გაატარებს გათვალისწინებულ ორგანიზაციულ ამოცანებს — მიღებული უნდა იქნეს ღონისძიებები უჯრედების ჩამოსაყალიბებლად იმ წარმოება-დაწესებულებებში, სოფლებსა და საბინაო ამხანაგობებში, სადაც ასეთები დღემდის არ არის ჩამოყალიბებული. წარმოებული უნდა იქნეს ამავე დროს ახალ წევრთა ჩაბმა, რემედასის უჯრედებში გამოყოფილი იქნეს სახსრების შემგროვებლები, აქტივითა კადრები და სხვა.

ბ) გამოყოფილი იქნეს სააგიტაციო კომისია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მშრომელ მოსახლეობაში რემედასის იდეების პოპულიარიზაციას და საზოგადოებრივი აზრის განმტკიცებას სოფლისა და ქალაქის მოსახლეობაში — სალამოების მოწყობა, მოხსენებების ჩატარება, ლიტერატურის გავრცელება და სხვა.

გ) გამოყოფილ იქნეს აგრეთვე საფინანსო კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს მთელი საფინანსო მუშაობის ჩატარება: ყულაბებით თანხის შეგროვება. შემოსავლის დათვლა, ამკრებთა სათანადო ძალებით აღჭურვა — ყულაბებით, გულის ნიშნებით, ქინძისთავებით და სხვა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იქ სადაც არსებობენ სექციები ეს მუშაობა დანაწილებული უნდა იქნეს სექციებს შორის.

11. მუშაობის პროცესში საუკეთესო მუშაობისათვის აქტივისტები დაჯილდოვებულნი უნდა იქნენ გულის ნიშნებით, ლიტერატურით და სხვა.

12. მუშაობის მსვლელობა და კამპანიის შედეგები გაშუქებული უნდა იქნეს, როგორც ადგილობრივ კედლის გაზეთებში, ისე პარტიულ-საბჭოთა პრესაში.

კამპანიის ჩატარების შედეგების სრული მასალები გადმოგზავნილი უნდა იქნეს რემედასის საქ. ცეკაში არა უგვიანეს 1930 წლის 1-ლი იანვრისა.

ადგილებს დროზე დაეგზავნებათ სათანადო გულის ნიშნები და სხვ. მასალები.

რემედასის საქ. ცეკას პასმგ. მდივანი: **თოდრია.**

სააგ. საპრ. განყ. გამგე: **ცქვიტინიძე.**

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ!

ტ ე ხ ნ ი კ უ რ ი მ ი ზ ე ზ ე ბ ი ს გ ა მ ო ჩ ვ ე ნ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ნ ო მ ე რ შ ი ვ ე რ მ ო ხ ე რ ხ დ ა ა მ ხ. ე ლ ი ზ ბ ა რ პ ო ლ უ მ ო რ დ ვ ი ნ ო ვ ი ს მ ო თ ხ რ ო ბ ი ს — „ფ ო ლ ა დ ე ბ ს ზ ო რ ი ს“-ი ს დ ა ბ ე ჭ დ ვ ა. გ ა ბ რ ძ ე ლ ე ბ ა დ ა ი ბ ე ჭ დ ე ბ ა დ ე კ ე მ ბ რ ი ს ნ ო მ ე რ შ ი.

ჟ უ რ. „რ ე მ ე დ ა ს ი ს“ რ ე დ ა ქ ც ი ა.

რემედასის კვირეული

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

„რემედასის“ კვირეულის ჩატარების შესახებ.

„რემედასის“ მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და მისი იდეებისა და მიზნების პაპულიარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს „რემედასს“ მოაწყოს საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე კვირეული 1929 წლის დეკემბრის 21 — 27 ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნულ ვადაში, დეკემბრის 21—27 „რემედასს“ ნება დაერთოს:

ა) შეაგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყველგან ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენონ საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგურები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3) შემოღებულ იქნეს კვირეულის განმავლობაში დაბეგვრის სახით „რემედასის“ სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ სანახაობაში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემსვლელზე ბილეთის ღირებულების 10% რაოდენობით.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4) ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს „რემედასი“ ამ მიზნისათვის მოწყობილი კვირეულის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — **ს. თოდრია.**

1929 წლ. ნოემბრის 23.

ტფილისი — სასახლე.

ჩვენი ფოსტა

მებრძოლს — (ზ უ გ დ ი დ ი) პროფ-ორგანიზაციების მონაწილეობა რემედასის ორგანიზაციებში — დაგვიანებით მივიღეთ, — არ წავა.

ალ. ბურჯანაძეს — რემედასი და ესპერანტო — არ გამოგვადგა.

ხურცილავას — (ზ უ გ დ ი დ ი) რემედასის ხეთის საოემო კომიტეტის გამოკვლევის შედეგები — წავა დეკემბრის ნომერში.

გრიშა რუსიას — (ს ო ხ უ მ ი) მუშაობა განვაახლეთ, დაიბეჭდება დეკემბრის ნომერში.

დ. ხურცილავას — (ზ უ გ დ ი დ ი) გავაჯანსაღოთ საარევიზიო კომისიების მუშაობა, წავა მორიგ ნომერში.

გ. ოთარიშვილს — (ტ ფ ი ლ ი ს ი) დავეხმაროთ კაპიტალის პატიმრებს, დაიბეჭდება.

დურსუნ მჟავანაძეს — (ბ ა თ ო მ ი) რემედასის მუშაობა აჭარისტანში, დაიბეჭდება.

დ. ხურცილავას — (ზ უ გ დ ი დ ი) სტან-ინფორმაციული მუშაობის შესახებ, წავა მორიგ ნომერში.

გამომცემელი რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტი. **რედაქტორი: შამშე ლეჟავა.**

ტფილისი, ს. ს. მ. უ.ს. პოლიგრ.-ტრ. 1-ლი სტამბა, პლეხ. გამზირი № 91, მთავარლიტი № 1902 შეკვეთა № 360. ტირაჟი 4000.

ფასი 20 კაპ.

გამოიწერეთ და იკითხეთ

რემედასის საქართველოს ცეკას და ტფილისის საოლქო კომიტეტის ყოველთვიური მასიური ორგანო ჟურნალ

1930 # რემედა **1930**

გამოცემის წელი მეშვიდე

ჟურნალში უმთავრესი ყურადღება ექცევა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას, თეთრი ტერორისა და ფაშიზმის თარეშს, როგორც დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, ისე აღმოსავლეთის კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში; პატიმარ რევოლიუციონერების მდგომარეობას კაპიტალის საჰეურობილეებში; რემედასის, როგორც **საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ორგანიზაციების, ისე უცხოეთის სექციების მოღვაწეობას.**

ფართე ადგილი ეთმობა აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას და მხატვრობას. ჟურნალში მოთავსებული იქნება მდიდარი ილიუსტრაცია, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასის და რევოლიუციონური გლეხობის კლასობრივი ბრძოლების ეპიზოდებიდან, ისე ყველა ქვეყნის რემედასის სექციების მუშაობიდან.

ხელის მოწერის პირობები

ერთი თვით	20 კაპ.	ექვსი თვით	1 მ. 15 კაპ.
სამი თვით	60 „	ცხრა თვით	1 „ 70 „
		ერთი წლით	2 „ 20 „

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველ რიცხვიდან

ყოველი აქტიური რემედასელი, უჯრედი, ქოხ-სამკითხველო, მუშა-მოსამსახურე, მშრომელი გლეხი და დიასახლისი უნდა გახდეს ჩვენი ჟურნალის ხელისმომწერი.

ჟურნალ „რემედას“-ზე ხელისმოწერით ჩვენ ვაღვივებთ მშრომელ მასაში ინტერნაციონალურ ერთსულოვნებას.

რემედასის უჯრედებმ და გეჯდვითი სიტყვის ორგანიზატორებმ იზრუნეთ თქვენი ჟურნალის გავრცელებაზე

ჟურნალზე ხელის მოწერა იწარმოებს, როგორც რემედასის საქართველოს ყველა საოლქო, სამაზრო, სარაიონო კომიტეტებში და უჯრედებში, ისე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში.

1930 წ. იანვრის პირველიდან ჟურნალ „რემედას“ გადაეგზავნება მხოლოდ ხელის მოწერლებს.

რემედასის საქ. ცენტრალურ კომიტეტის გამომცემლობა.